

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

№ 01-08-14/116-2018-4

10.05.2018

შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმსა“ და
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ერთი მხრივ, იურიდიული პირი - შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ (შემდგომში „კონსორციუმი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ლევან ახვლედიანის მიერ და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის მიერ, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების მიზანი

1. მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
2. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება;
3. სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკის/სტაჟირების გავლა და კვალიფიციური კადრების მომზადება;
4. სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი პროგრამები

მხარეები იმუშავებენ შემდეგი მიმართულებებით:

- ა) მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/სამეცნიერო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, საჯარო ლექციების ორგანიზება და ა.შ.);
- ბ) დაგეგმვენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვ.;
- გ) დაგეგმვენ ერთობლივ პროექტებს/საერთაშორისო აქტივობებს და იმუშავებენ ამ პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოძიების მიმართულებით;
- დ) თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თანამშრომლები და პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ;
- ე) უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან კონსორციუმის ობიექტებზე;
- ვ) წარჩინებული სტუდენტები კომპანიიდან მიიღებენ სტიპენდიას;
- ზ) სტუდენტს ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

7.0

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

- 4.1. დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 4.2. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.
- 4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
- 4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ექვსი წლის ვადით. მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ვადა.
- 4.5. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე წერილობით აცხადებებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“
მის.: მარჯანიშვილის ქ. #6

ქალაქი თბილისი, 0102, საქართველო


ლევან ახვლედიანი

თარიღი: 10.05.2018



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მის.: კოსტავას ქ. #77

ქალაქი თბილისი, საქართველო


არჩილ ფრინგიფილი

თარიღი: 10.05.2018

